პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 59 (20400) — შაბათი, 11 მარტი, 1989 წელი. — ფასი 5 კაპ.

ეე-2 გვ.

მარტო სურვილი არ კმარა

● **შარშან,** 1988 წელს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მხრივ ვენახებისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო მილიონები დაიკარგა.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში

● **სსრ** კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმზე განიხილეს სასამართლო პრაქტიკაში მოქალაქეთა და ორგანიზაციების სახელისა და ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის უმნიშვნელოვანესი ასპექტები, აგრეთვე დანაშაულობასთან ბრძოლის აქტუალური საკითხები.

ეე-3 გვ.

მეცნიერებათა აკადემია

● **რედაქცია** ახალი რუბრიკით „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა“ მკითხველებს აცნობს აკადემიის პრეზიდიუმის ახალ წევრებს. წინა პუბლიკაციაში გაგაცანით აკადემიის პრეზიდენტი, ამჯერად კი წარმოგიდგენთ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ივერი ფრანგიშვილს.

ეე-4 გვ.

ენა ჩვენი მეგზური

● **იმის** შესახებ, თუ როგორ სწავლობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულს სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ახალგაზრდები და რას — ავითვს ეროვნული მნირლობისა და ენის, წრფოვანსაქციით მსაფცარული თანამედროვეობა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგია, მოგვითხრობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი **ლ. ალექსიძე** და ზემოაღნიშნული კოლეგიის თავმჯდომარე **ო. ნოდია.**

ფეხბურთის ტალღაზე

● **დღეს** დიდი ფეხბურთის დღეა, — იწყება საბჭოთა კავშირის 52-ე ჩემპიონატი. იმის თაობაზე, თუ როგორ მოემზადა თბილისის „დინამო“ ახალი სეზონისათვის, გვესაუბრება „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი.

მდგომარეობა კვლავ რთულია

მიმდინარე წლის თებერვალში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მრეწველობაში ბევრი რამ კეთდებოდა იანვრის ჩამორჩენის დასაძლევად, რთული სიტუაციიდან თავის დასაღწევად. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა კვლავ რთულია, სამეურნეო ანგარიშსა და ფინანსებზე გადასული ეკონომიკა მრავალ დაბრკოლებას აწყდება.

სამწუხაროა, რომ იანვარ-თებერვალში საგრძნობლად გაუარესდა პროდუქციის სახელშეკრულებო ვალდებულებით მიწოდების მაჩვენებელი შარშანდელ და შარშანწინდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. სახელშეკრულებო დისციპლინა დაარღვია იმ საწარმოებისა და გაერთიანებების თხუთმეტ პროცენტზე მეტმა, რომლებსაც ჰყავთ შემკვეთები და პირდაპირ არიან დაკავშირებული მათთან. ორ თვეში მომხმარებელმა ვერ მიიღო 38014 ათასი მანეთის პროდუქცია. შარშან ამავე პერიოდში ამ მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად ნაკლები — 15197 ათასი მანეთი შეადგინა.

განსაკუთრებით ჩამორჩნენ ამ მხრივ სათბობ-ენერგეტიკული, სამშენებლო და მეტალურგიული კომპლექსების საწარმოები, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს მომხმარებლისათვის შესაბამისად 6,8 მილიონი მანეთის, 2,4 მილიონი მანეთისა და 1,1 მილიონი მანეთის პროდუქციის დროული მიწოდება. დაალალატეს შემკვეთები მსუბუქი მრეწველობის ბათუმის სამკერვალო, თბილისის ფეხსაცმლის „ისნის“, ქუთაისის სამკერვალო, გორის ბამბის ქსოვილების საწარმოო გაერთიანებებმა, ქუთაისის მაუდის ფაბრიკამ და თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ფაბრიკამ, სახაგრომრეწვის „ბორჯომისა“ და ქინძმარაულის ღვინის საწარმოო გაერთიანებებმა, ხაშურის მინის ქარხანამ.

საკავშირო დაქვემდებარების სამრეწველო ობიექტებიდან მეტად არასასიამოვნო მდგომარეობა შეიქმნა „საქქვანახშირისა“ და „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებებში, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ და ქუთაისის ლითოფონის ქარხნებში.

ახალი ვითარება მნიშვნელოვანწილად ამინდის პირველულობამ, იანვრის დიდთოვლობამ განაპირობა. სტაქანამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს რაიონებს, შეაფერხა იქ განლაგებული საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, შექმნილი პროდუქციის გამოტანა-ტრანსპორტირება და სხვა.

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ბევრი უთავბოლობა სუბიექტურ მიზეზებსაც უკავშირდება. ახლა თავის მართლება და ყველაფრის ამინდისათვის გადაბრალება ვერას გვიშველის. საჭიროა დაძაბული მუშაობა მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის და მოლიანად პირველი კვარტალის ჩამორჩენის დაძლევისათვის. რესპუბლიკის მრეწველობას სტიქიით შექმნილი დაბრკოლებების გადალახვის ხოლიდური გამოცდილება ხქვს და ახლაც ნაცადი გზით უნდა ვიარეთ.

შემკვეთი ელოდება სახელშეკრულებო ვალდებულებით ნავარაუდევ პროდუქციას, იგი თქვენს იმედზეა და ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ არ დავალალატოთ. გვახსოვდეს, რომ მასაც ჰყავს მომხმარებელი, რომელსაც თავის მხრივ ელოდება შემკვეთი. არაერთხელ თქმულა, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევა ჯაჭვურ რეაქციას იწვევს და სანდასან ათობით ორგანიზაციის მუშაობას ეფერხებს.

იანვარ-თებერვლის საკმაოდ დაძაბულ მდგომარეობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ ხნის მანძილზე წარმოების მოცულობა შეამცირა 342 საწარმომ და გაერთიანებამ, ანუ მათი საერთო როდენობის 37,1 პროცენტმა. იმ 82 სახეობის უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციიდან, რომლებსაც რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი ყოველკვირეულად ითვალისწინებს და აღრიცხავს, გეგმა ვერ შესრულდა 44 სახეობის მიხედვით. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მკვეთრად შეამცირეს წარმოების მოცულობა „საქქვანახშირის“, „საქთვეზრეწვის“, „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებებმა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა და „საქკაბელის“ ქარხნებმა.

როცა მეტალურგიული კომპლექსის ჩამორჩენაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ „ჭიათურმანგანუმის“ საწარმოო გაერთიანებასა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. რაც შეეხება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, აქ მდგომარეობა შედარებით სტაბილურია. იანვარ-თებერვალში გეგმით გათვალისწინებულზე მეტი თუჯი, ფოლადი, ფოლადის მილები და ნაგლინი დამზადდა.

მანქანათმშენებლობის განვითარების საკითხი რომ პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, ეს დღეს ყველამ იცის, მაგრამ მოდერნიზაციისა და ტექნიკური დონის მკვეთრი ამაღლებისათვის დიდძალი სახსრები ეხარჯება. სწორედ მანქანათმშენებლობას ეყრდნობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ყველა დიდი ჩანაფიქრის განხორციელება.

სამწუხაროდ, გასულ ორ თვეში რესპუბლიკის მანქანათსაშენებელ კომპლექსშიც შეიმჩნეოდა წარმოების მოცულობის შემცირება. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებას. აქ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოცულობა 8,5 მილიონი მანეთით შემცირდა. დამზადდა გაუვალისწინებულზე ნაკლები სატვირთო ავტომობილების მისაბმელები და ნახევარმისაბმელები. „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებამ ვერ გამოუშვა ნავარაუდევი რაოდენობის ავტომატიზაცია-მექანიზაციისათვის საჭირო ცვალებადი დენის ელექტრძრავები, სოხუმის „ორგტექნიკის“ საწარმოო გაერთიანებამ — ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებები და მათი სათადარიგო ნაწილები, თბილისის სინსტრუმენტო საწარმოო გაერთიანებამ — ლითონსაჭრელი იარაღები. იმედია, ეს საწარმოები განახორციელებენ ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებს იმისათვის, რომ კვარტალის დამლევისათვის ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგეს.

9 მარტს გამართულ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკაში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ საარჩევნო კამპანია რესპუბლიკაში გამოირჩევა მშრომელთა გაზრდილი პოლიტიკური აქტიურობით, იმის დიდი დაინტერესებით, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატებად აირჩირნენ ყველაზე ღირსეული ადამიანები, რომლებიც მტკიცედ დგანან გარდაქმნის პოზიციებზე და აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების განახლების პროცესებში. რესპუბლიკაში ხორცელდება საარჩევნო კამპანიის იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის მიმდინარეობას ოპერატიულად აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

ამასთანავე, ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად მომზადებული ვერ აღმოჩნდა საარჩევნო კამპანიისათვის, საკმარისად გააზრებულად არ ეწევა მას, მოქმედებს ძველი სქემებით, ცუდად იყენებს საარჩევნო პროცესის ახალ დემოკრატიულ მექანიზმს, მთელ რიგ შემთხვევებში არა აქვს ზუსტი, პრინციპული პოზიციები ამა თუ იმ საკითხზე, ყველგან არ უწევენ სათანადო მხარდაჭერას სახალხო დეპუტატობის კანდიდატებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა ძირითადი ორგანიზაციული და იდეოლოგიური ღონისძიებების გეგმა, რომლებიც რესპუბლიკაში ეწყობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებით.

განიხილა რა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები რესპუბლიკის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სამინისტროების; უწყებების, საწარმოების კომუნისტი ხელმძღვანელების მუშაობა ამ მიმართულებით არასაკმარისად მიიჩნია. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საქართველოს კომპარტიის სოლო, ქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნისტ ხელმძღვანელებს წინადადება მიეცათ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ დადგენილებების შემუშავებისა და მიღების საკითხები დააყენონ მხოლოდ საქმის მეცნიერულად დასაბუთებული ანალიზის შემდეგ, როგორც წესი, შეიტანონ ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკური ღონისძიებები რეგიონალური განვითარების გეგმებში, გააძლიერონ ამ გეგმების კომპლექსურობა და ქმედითობა.

მოისმინა რა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზ. ა. ჩხეიძის ინფორმაცია მარტის დამდეგს ზესტაფონის, ორჯონიკიძის, საჩხერის და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებში მომხდარი მეწყერების თაობაზე, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის ფინანსური მდგომარეობისა და მუშამოსამსახურეებთან ხელფასით ანგარიშსწორების მდგომარეობის და ამ საქმის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი. არასაკმარისად არის მიჩნეული პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის, მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის შეწონასწორების გაუმჯობესებისათვის, ხელფასის, პენსიისა და დახმარების, კოლმეურნეთა შრომის ასანაზღაურებლად ფულის დროული გაცემის უზრუნველყოფისათვის, მიღებულ დადგენილებაში დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, საგეგმო ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების უფუო შესრულების, ხელფასით დროული ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად.

ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით სახელმწიფო პროგრამების პროექტების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის და დამტკიცა ამ პროგრამების ნუსხა.

შეჯამდა 1988 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისა და ფულის მიმოქცევის განმტკიცებისათვის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯაბრების შედეგები. ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილებები რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთ სხვა აქტუალურ საკითხზე.

ᲙᲐᲠᲑᲘ მაჩვენებლებით ხვდება გაზაფხულს თბილისის პირველი მაისის სახელობის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი სამკერვალო ფაბრიკა. გასული ორი თვის — იანვრისა და თებერვლის მანძილზე გამოშვებულია 11 მილიონ 56 ათასი მანეთის პროდუქცია, აქედან ზეგეგმითია 26 ათასი მანეთისა. მოგებამ მილიონ 135 ათასი მანეთი შეადგინა. სურათზე თქვენ ხედავთ მეორე სამკერვალო ხაამქროს მუშაკებს. მიღწეულ წარმატებებში საკმაოდ დიდია ამ ქალიშვილების შრომის წილიც.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მკერავები ვიოლეტა ჩიგვანი, მაია ვანიშვილი, გულო ტეგეტაევა, ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი ნანა გოგინაშვილი, საამქროს ოსტატი ლიანა კერესელიძე და მკერავი მარინე აბრამიშვილი ცვლის შემდეგ.

Ფ. ᲙᲐᲠᲘᲛᲡᲙᲘᲡ („კომუნისტი“) ფოტო.

გაზაფხულს — გამართული ტექნიკა

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ სამეურნეო წელი ჩხოროწყუს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის გარკვეული სიძნელეებით დაიწყო. დიდთოვლობით გამოწვეულმა დაბრკოლებებმა რამდენადმე შეაფერხა საგაზაფხულო სამუშაოების დაწყება.

თუ 1988 წლის შესაბამისი პერიოდისათვის მოხნული იყო 648 ჰექტარი, წელს სამარცვლე და ალვები კულტურების პირველი ხვნა ეს-ეს არის დაიწყო. რაიონის 18 საზოგადოებრივ მეურნეობაში კი მოსახნავია 2700 ჰექტარი ფართობი.

ჩხოროწყუელი მხვნელ-მთესველები ყოველ ღონეს ხმარობენ მდგომარეობის გამოსწორებისათვის. მართალია, სტიქიამ გააძნელა ტექნიკის სარემონტოდ გადაყვანა და საჭირო ოდენობით მარაგნაწილების შემოზიდვა, მაგრამ ამჟამად მთელი ფრონტით მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი. ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში შექმნილია და ორ ცვლად მუშაობენ ტექნიკის სარემონტო ბრიგადები. რთული შეკეთებები ძირითადად წარმოებს რაიონის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტის და უქსპლოატაციის საწარმოში. როგორც ამ საწარმოს დირექტორმა თ. თოდუამ გვითხრა, მარტის პირველ ნახევარში დამთავრდება ყველა სახეობის მანქანა-იარაღების რემონტი.

რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები მთლიანად უზრუნველყოფილია საგაზაფხულო სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებისათვის, საჭირო რაოდენობის ტრაქტორებითა და მანქანა-იარაღებით. არც კვალიფიციური მექანიზატორები აკლიათ. მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას გადის ყველა სახის ტექნიკის 10-11 პროცენტი.

ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ტექნიკის რემონტის ადრე დამთავრებაც შეიძლებოდა, სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში საგრძნობი შეფერხება რომ არ იყოს. საქმე ის არის, რომ მარაგ-ნაწილების ფონდები დაშვებულია საერთო ნორმების მიხედვით რაიონის ბუნებრივი, რელიეფური და ნიადაგობრივი პირობების გაუთვალისწინებლად, რის გამოც გამოყოფილი ფონდები მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ყველვე ეს იწვევს ტექნიკის მოცდენებს და რემონტის ვადების გაჭიანურებას.

მარტი რომ წინ გვდოს...

სათადარიგო ნაწილებით მომარაგებაში შეფერხებები და უკმარისობა ქრონიკულ ხასიათს ღებულობს. ეს უკვე დაკანონდა და თითქმის ტრადიცია გახდა. მრავალჯერ უხდებათ აგროსამრეწველო კომიტეტის შესაბამის სამსახურებში დამატებითი მოთხოვნების გაგზავნა, რომელთა უმრავლესობა უყურადღებოდ რჩება, ან ნაწილების გამოყოფისა და მიღებისათვის დიდი დროა საჭირო. განსაკუთრებული მოთხოვნის გარეშე ინვაოთად ღებულობენ ავტომანქანის კაბინებს, ჩარჩოებს, საბურავებს, აკუმულატორებს და სხვა დეფიციტურ კვანძებს. ეს მაშინ, როცა რაიონის აგროკომპლექსში სხვადასხვა მარკის 276 ავტომანქანა ირიცხება.

რაიონის მექანიზატორებს დეფიციტი გაუხდათ ისეთი სათადარიგო ნაწილები, როგორიცაა „დტ-75“ მარკის ტრაქტორის სამუხრუჭე ლენტები და ჭიკვები, საკიდი მოწყობილობა, საწვავის აპარატურის დეტალები, გვერდითი გადაცემის გარსაცმი. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებას დღემდე მიღებული არა აქვს ჩაის სასხლავი და საკრეფი აპარატების მარაგნაწილების ფონდები. ხშირად უხარისხო დიზელისა და ქარელის სარემონტო ქარხნებში შეკეთებული კვანძები.

კვლავ არის სიძნელეები დიზელის საწვავით მომარაგებაში და იგი სულ უფრო საშიშ ხასიათს ღებულობს. გასული წლის ფონდიდან ცხაკაიას ნავთობბაზამ რაიონს ვერ მიაწოდა 70 ტონა საწვავი. ხოლო მიმდინარე წლის გასულ პერიოდში ათვისებულია კვარტალის ნორმის მხოლოდ 40 პროცენტი. 8 თებერვლიდან კი დღემდე არ მიუღიათ დიზელის საწვავი. ნავთობპროდუქტების ამნაირი მიწოდების შემთხვევები საგრძნობლად შეუშლის ხელს საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობას.

გაზაფხული ეს-ეს არის დაიწყო. ჯერ კიდევ მარტია. ბრძენკაცს უთქვამს, მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ, ნურც ამაგებო. ამიტომ ტექნიკის რემონტს დაჩქარება უნდა, ვინაიდან ახლა ძირითადად გამართულ მანქანა-იარაღებზეა დამოკიდებული საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დროულად და აგროვადებში დამთავრება. მონდომება და ენთუზიაზმი არ აკლიათ ჩხოროწყუელ მხვნელ-მთესველებს, მაგრამ ტემპი თუ არ გაადლიერეს, ჩამორჩენას თავს ვერ დააღწევენ.

ᲕᲐᲟᲐ ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ჯ. ᲢᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲣᲐᲠᲧᲕᲔᲡ

● **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** 58 ხმით 47-ის წინააღმდეგ ამერიკის კონგრესის სენატმა უარყო ჯონ ტაუერის თავდაცვის მინისტრის პოსტზე დანიშვნა.

შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც რამდენიმე კვირის მანძილზე აწარმოებდნენ თეთრი სახლი და რესპუბლიკელთა ხელმძღვანელობა კონგრესში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ დასახელებული კანდიდატისათვის, მარცხით დამთავრდა.

ტეხასის შტატისაგან ყოფილი სენატორის დანიშვნის მოწინააღმდეგეები კამათის დროს აღნიშნავდნენ, რომ არ შეიძლება პენტაგონი ანდონ კაცს, რომელიც წლების მანძილზე ალკოჰოლს ეტანებოდა. ტაუერს დაბარალეს აგრეთვე მეჰიდრო კავშირი სამხედრო მოიჯარეებთან, ქალებთან მეტისმეტი გატაცება.

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარლინ ფიცუოტერმა ხუთშაბათს განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბუში „გულგატეხილია მარცხით“, მაგრამ არ ნანობს, რომ ბოლომდე იბრძოდა. ფიცუოტერმა გამოთქვა იმედი, რომ შეტაკება სენატში არ გაიფუჭებს თეთრი სახლის ურთიერთობას კონგრესის დემოკრატიულ უმრავლესობასთან და აღნიშნა, რომ ამან შეაკავშირა ადმინისტრაცია და რესპუბლიკელები კაპიტოლიუმის ბორცვზე.

რაც შეეხება სამხედრო უწყების ახალ შეთაურს, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, ბუში დღეიდან ეუდგება „სხვადასხვა კანდიდატურების შესწავლას და თავის არჩევანს „უახლოეს ხანს გამოაცხადებს“. შესაძლო კანდიდატებს შორის ასახელებენ სენატორ უილიამ კოენს, ყოფილ კონგრესმენს ჯეკ ედვარდსს, ყოფილ თავდაცვის მინისტრებს დონალდ რამსფელდსა და ჯეიმს შლესინჯერს.

ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ

ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐᲡ

● **ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს შორის შავი მეტალურგიის დარგში ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის ამოცანაა მოაგვაროს ორი ქვეყნის მეტალურგია კომპლექსური ურთიერთმოქმედება სამეცნიერო-კვლევითს, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო საქმიანობაში, შეიმუშაოს წინადადებანი წარმოების კოოპერირების შესახებ, განავითაროს დარგობრივი საწარმოებია და ორგანიზაციების პირდაპირი კავშირურთიერთობა, თანამშრომლობის სხვა ახალი ფორმები, აგრეთვე მოაგვაროს მოწინავე გამოცდილების გაზიარება.

ᲞᲝᲚᲘᲔᲠᲒᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲡ

● **ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ.** დასავლეთ გერმანიის ფირმაცევტული კომპანია „ᲰᲝᲠᲪᲤᲔᲢᲐ ᲤᲐᲠᲛᲐᲡ“ პრეზიდენტი ამტკიცებს, რომ მისმა ფირმამ შეიმუშავა შეძენილი იმუნოდეფიციტის (შიდსის) სინდრომის საწინააღმდეგო საშუალება. როგორც ტანზანიის საინფორმაციო სააგენტო შიხატა იუწყება, „ახალი წამალი, რომელსაც ეწოდა „პოლიერგა“, ამჟამად გადის კლინიკურ გამოცდებს დარ-ეს-სალამისა და ზანზიბარის საავადმყოფოში. „პოლიერგა“, აზუსტებს შიხატა, მუშავდება, როგორც კიბოსსაწინააღმდეგო წამალი, მაგრამ ცხადყო, რომ მეტად ეფექტიანი საშუალებაა „მე-20 საუკუნის ჭირთან“ ბრძოლაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ შეკოსულია შეკითხვები, შეიძლება თუ არა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირების განთავისუფლება საწარმოო ან სასამსახურო მოვალეობათა შესრულებისაგან საარჩევნო კამპანიის დროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ითვალისწინებს რა, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ სსრ კავშირის კანონის 46-ე მუხლის თანახმად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირნი ეხმარებიან მას საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში, განმარტა, რომ არჩევნებთან (საარჩევნო უფლებასთან) დაკავშირებულ საზოგადოებრივ მოვალეობათა განხორციელების დროს მუშა-მოსამსახურეთა გარანტიების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად (რუსეთის სფსრ შრომის შესახებ კანონთა კოდექსის 111-ე მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების შრომის შესახებ კანონთა კოდექსების შესაბამისი მუხლები) ნდობით აღჭურვილი პირები სახალხო დეპუტატობის კანდიდატის თხოვნით შეიძლება განთავისუფლდნენ საწარმოო ან სასამსახურო მოვალეობათა შესრულებისაგან მუშაობის ადგილზე საუალო ხელფასის შენარჩუნებით. ამასთან დაკავშირებით გაწეული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხარჯები მათი თხოვნით ანაზღაურდება არჩევნების მოსაწყობად გამოყოფილი სახსრების ხარჯზე.

მარტო სურვილი არ კმარა

ანუ 1988 წელს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მიერ ვენახებისადმი გულარხეინი დამოკიდებულების გამო დაკარგული მილიონები

საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომიტეტში საუბარი თავიდანვე ყურძნის შარშანდელ მოსავალზე დავიწყეთ. მჭვენახეობის სამმართველოს სპეციალისტებმა ბევრი რამ თქვეს ვაზსა და რესპუბლიკის მეზჭრეებზე, მაგრამ მარნეულელებზე საგანგებოდ შეჩერდნენ. მათ მიმართ მრავალი საყვედური გამოთქვეს. გაიხსენეს კონკრეტული უარყოფითი ფაქტები, რომლებიც შარშან ვენახების დათვალიერება-შემოწმების დროს უნახავთ. ბოლოს ისიც კი თქვეს, მარნეულში ვაზი უყურადღებოდ არის მიტოვებული და მევენახეობას აქ სოფლის მეურნეობის დარგად არც კი თვლიანო.

ბუნებრივია, ასეთი მწვავე კრიტიკის გამო საქმე ციფრებზე მიდგა და გაირკვა, რომ შარშან მარნეულელებმა 14 ათასი ტონის ნაცვლად 10500 ტონა ყურძენი აწარმოეს. მარტო შაუმიანის საბჭოთა მეურნეობას გეგმისათვის 2700 ტონა დაუკლია, სამარტხვინო მოსავალი ჰქონიათ აგრეთვე კაჩაგანისა და ალმამედლოს საზოგადოებრივ მეურნეობებს. ის კი არადა, რაიონის მევენახეებს გეგმა ფურმე არც გასულ ხუთწლედში შეუსრულებიათ და დღემდე ასე პირშავად მოდიან.

მარნეულელთა „ღალატს“ კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ ცუდი ის არის, რომ მათი „წყალი“, სამწუხაროდ რესპუბლიკის სხვა რაიონებსაც გადაესხა. ყურძნის წარმოების გეგმები ვერ შეასრულეს 28 რაიონმა, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებმა. რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები კი ორმოცდათზე მეტი დავითვალეთ და აბა რა შთაბეჭდილება უნდა დაგვრჩენოდა მევენახეთა გარჯილობაზე!

დასანანია, რომ ამ ბოლო წლებში, თელავის რაიონის მევენახეებმა დათმეს მოწინავე პოზიციები. შარშან ყურძნის წარმოების გეგმა 74 პროცენტით შეასრულეს. სხვა რაიონებმა კი, მაგალითად, ახმეტამ გეგმის მხოლოდ 55 პროცენტი მოკრიფა, საგარეჯომ — 72, ყვარელმა — 77, მცხეთამ — 51, დუშეთმა — 50, კასპმა — 54, ხაშურმა — 45, გორმა — 38, ზესტაფონმა — 73, თერჯოლამ — 68, მაიაკოვსკმა — 66, ვანმა — 55, სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა თითოეულმა — 29 პროცენტი და ა. შ.

ერთი სიტყვით ყურძნის მოსავლის სახელმწიფო დავალება თითეზეზე ჩამოსათვლელმა რაიონებმა შეასრულეს. ესენია: სიღნაღი, წითელწყარო, ლაგოდეხი, საჩხერე, ჭიათურა, სამტრედია, გეგეჭკორი, ჩოხატაური, ტყიბული და ჩოორწყუ.

თუმცა, სამწუხაროდ, მთლად წელში გამართულები (არაფერს ვამბობთ მოგებასა და პროდუქციის თვითღირებულებაზე) არც ამ რაიონების მევენახეები არიან, რადგან მოკრეფილი ყურძნის რეალიზაციით, დაბალი შაქრიანობის გამო, ზოგმა მილიონზე მეტი, ზოგმა კი ათასობით მანეთი იზარალა. უფრო კონკრეტულად (რთველის მიმდინარეობის აგრომრეწვის კომიტეტის ოპერატიული ცხრილის მიხედვით) სიღნაღის რაიონის მევენახეებს ამონაგების თანხა 1268 ათასი მანეთით შეუმცირდათ, წითელწყაროელებს — 1670 ათასი, ლაგოდეხელებს — 2 მილიონამდე, საჩხერელებს — 225 ათასი მანეთით და ა. შ., ხოლო რესპუბლიკის მასშტაბით თუ ვიანგარიშებთ, მარტო მოკრეფილი უკონდიციო ყურძნის რეალიზაციის გამო ზარალი 11292 ათას მანეთს აღემატება.

ალბათ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ შარშან რესპუბლიკის მევენახეებს გეგმით 520.000 ტონა ყურძენი უნდა ეწარმოებინათ, ფაქტობრივად კი 455851 ტონა აწარმოეს, ე. ი. გეგმის შესრულებას 64149 ტონა დააკლდა და ცალკე ამის გამო (თუ ტონას საშუალოდ 550 მანეთად ვიანგარიშებთ) საქართველოს სოფლის მეურნეობას 35 მილიონ მანეთზე მეტი დაკარგა.

რა თქმა უნდა, შესაბამისად ღვინის მრეწველობაც დაზარალდა, მარტო ყურძნის გეგმის შეუსრულებლობისა და დაბალი კონდიციურობის გამო მან ვერ მიიღო 200 მილიონი მანეთის პროდუქცია.

კაცმა რომ თქვას, ეს უკვე საქმაოდ დამფიქრებელი მდგომარეობაა. თუმცა ამის გამო რესპუბლიკის მევენახეებს თუ ვუსაყვედურებთ, ალბათ ყველა მათგანი თავის გამართლებას შეეცდება...

კი, ბატონო, ზოგიერთი რაიონის მევენახეებს მართლაც აქვთ მცირემოსავლიანობის ობიექტური მიზეზები, შარშანდელი წელიწადი, კლიმატური პირობების გამო, მეტად მძიმე იყო მევენახეებისათვის, მაგრამ ყოველად გაუმართლებელი იქნება, თუ სახელმწიფო დავალების შეუსრულებლობას მხოლოდ სტიქიითა და უამინდობით ავხსნით.

ამის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ყვარლის რაიონის გრემის საბჭოთა მეურნეობის № 6 ბრიგადის 74 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი დაისეტყვა, ზარალმა 25 პროცენტი შეადგინა, მაგრამ ბრიგადამ გეგმა მაინც 128 პროცენტით გაანაღდა. ამავე მეურნეობის № 8 ბრიგადის ვენახებს კი სეტყვა სიახლოესს არ გაჰკარებია, მაგრამ სახელმწიფო დავალება მხოლოდ 4 პროცენტით გაანაღდა, საბუის მევენახეობის № 3 ბრიგადამ კი 3 პროცენტით.

მეექვსე ბრიგადის წარმატებები ვინმეს შემთხვევითობა რომ არ ეგონოს, ახლა გურჯაანის რაიონის შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის № 8 ბრიგადის მაგალითს მოგახსენებთ. მისი 57 ჰექტარი მსხმოიარე ვენახიც გვარიანად დაისეტყვა, მაგრამ ბრიგადას გეგმისათვის ბევრი აღარ დაუკლია. აქვე არსებული № 2 და № 3 ბრიგადებმა კი, რომელთა ვენახები არ დასეტყვილა, გეგმები შესაბამისად მხოლოდ 23-64 პროცენტით შეასრულეს.

ბარემ აქვე თელავის რაიონის კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის № 14 ბრიგადაზეც მოგახსენებთ. აქ 49 ჰექტარი ვენახის 27 პროცენტით სეტყვამ დააზიანა, მაგრამ მკლავმდლიანმა მეზვრეებმა გეგმა მაინც შეასრულეს. ამავე მეურნეობის № 16, 21 და № 15 ბრიგადების ვენახები თითქმის გვერდიგვერდ არის, პირობებიც ერთნაირი ჰქონდათ, თუმცა ყურძნის წარმოების გეგმა მხოლოდ № 15 ბრიგადის წევრებმა შეასრულეს და თანაც 156,5 პროცენტით.

უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისათვის, რათა გაბედულად ითქვას: ყურძნის სახელმწიფო დავალების შეუსრულებლობის ძირითადი და მთავარი მიზეზი უამინდობა კი არა, ის არის, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების ვენახებში უხარისხოდ, დაგვიანებით ჩატარდა კომპლექსური აგროღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოები და ამიტომ ბევრგან გავრცელდა სარეველები, სოკოვანი დაავადებები, ყურძნის ჭია და სხვა მავნებლები...

კაცმა რომ თქვას, სწორედ უამინდობისა და სხვა არასასურველი მოვლენების დაძლევისათვის მევენახეებს მხარში უნდა ამოდგომოდნენ შესაბამისი სამეცნიერო და კვლევითი ინსტიტუტების სპეციალისტები და მეცნიერი მუშაკები, მაგრამ ასე არ მოხდა. წარმოებაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ ინერგება შრომის პროგრესული მეთოდები, მეცნიერების მიღწევები და რეკომენდაციები.

შარშან რესპუბლიკის ვენახებში მიმდინარე სამუშაოების შესრულების თაობაზე, მის საერთო მდგომარეობაზე გაზეთ „კომუნისტში“ რამდენიმე კრიტიკული წერილი დაიბეჭდა. თავის მხრივ აგროსამრეწველო კომიტეტი ზზირად აწყობდა ვენახების დათვალიერება-შემოწმებას და შედეგებს იქვე მევენახეთა თათბირებზე განიხილავდა და აანალიზებდა, მაგრამ რჩევა-დარიგებანი ბევრმა ყურად არ იღო. ამიტომაც ახლა ბევრი რაიონის სამეურნეო ხელმძღვანელები თუ სპეციალისტები, ვენახებისადმი თავიანთი დამოკიდებულებით კედლისა და ცერცვის ამბავს გვაგონებენ.

აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ზესტაფონის, თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ვანის რაიონებში ყურძნის მოკრეფა დააგვიანეს, ამის გამო მარცვალი ჩამოცვიდა, ვაზზე კლერტებიღა დარჩა და ასობით ტონა ყურძენი დაიკარგა. ანდა ის ფაქტი რას უნდა მივაწეროთ, რომ შარშან რესპუბლიკაში მოკრეფილი ყურძნის (სეზონის დაწყებიდან) საბაზისო შაქრიანობა საშუალოდ 17,2 პროცენტი იყო. ზოგიერთ რაიონში კი 15, 16, 17 პროცენტს არ ასცილებია.

სადავო როდია, რომ ასეთი ნედლეულიდან ხარისხიანი ღვინო-მასალების მიღება გაჭირდებოდა და, აკი, ასეც მოხდა. 1988 წლის მოსავლიდან სამარკო მშრალი ღვინო-მასალების გამომუშავების გეგმა 60,96 პროცენტით შესრულდა. სამარკო შემაგრებულისა კი 27,6, შამპანურის ღვინომასალებისა — 43, აქედან შამპანურისა — 40,8 პროცენტით, ხოლო ნახევრადშრალი და ნახევრადტკბილი ღვინო-მასალების გეგმის შესრულებამ კი 54,37 პროცენტსღა მიაღწია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი უნიკალური ნახევრად ტკბილი ღვინოები, როგორიცაა „ხვანჭკარა“ გამომუშავდა მხოლოდ 3,0 ათასი დეკალიტრი, „ქინძმარაულის“ 11 ათასი, „ოჯალეში“ — 3,0 ათასი, „ფიროსმანი“ კი 1600 დეკალიტრამდე და ა. შ. თანაც ნუ იტყვით და, დაბალი ჯონდიციურობის გამო მათთვის საბოლოო სახის მიცემა თურმე საეჭვოა...

აქ თავისთავად იბადება კითხვა, — როგორი იქნება ჩვენი რესპუბლიკისათვის ერთ-ერთი წამყვანი დარგის, მევენახეობისა და მეღვინეობის ხვალინდელი დღე?

აგროსამრეწველო კომიტეტის მასალებით უნიკალური ვაზის ჯიშები, რომელთა მტევნების ნაყურმა მსოფლიო ბაზარზე ერთ დროს, სახელი და დიდება მოგვიხვეჭა, საკმაოდ შემცირდა. უფრო მეტიც, მათ გადაშენების საფრთხეც ელის და თუ ქმედითი ღონისძიებები არ განეახორციელეთ, თუ გამჭრიახობა არ გამოვიჩინეთ, ქართული ღვინის უპირატესობის დაკარგავთ.

მაგალითად, რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში დღეისათვის 81 ათას ჰექტარ ვენახს ითვლიან. აქედან ძვირფასი ვაზის ჯიშებს მხოლოდ 5,4 ათასი ჰექტარი უკავია. დანარჩენ ფართობზე კი გაშენებულია „რქაწითელი“, „ცოლიკაური“, და „ციცქა“. კახეთის მევენახეობაში „რქაწითელის“ ხვედრითი წილი 94,7 პროცენტს აღწევს. მაშინ როცა „საფერავს“ უკავია 3,5 პროცენტი, „მწვანეს“ — 1, „კახერეს“—0,3 და „ხიხვს“ — 0,5 პროცენტი. ქართლის ზონაშიც კი ვაზის იმ ჯიშებს, რომლებისგანაც მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინო-მასალები მიიღება, „ალიგოტეს“ უკავია — 1, ხოლო „პინოს“ 4,5 პროცენტი. დასავლეთ საქართველოში ისეთ უნიკალურ ჯიშებს, როგორიცაა „ალექსანდროული“, „მუჯურეთელი“, „კრახუნა“, „უსახელოური“, „ჩხავერი“, „ოჯალეში“, „ოცხანური“ და „საფერაული“, იმდენად მცირეა მათი რაოდენობა, რომ სამრეწველო მნიშვნელობა დაკარგეს.

როგორც ხედავთ, მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელოა. და მით უფრო საინტერესოა, თუ რა რაოდენობის ვენახები გავაშენეთ შარშან და როგორია მათი დარაიონება?

იგივე აგროსამრეწველო კომიტეტის მასალებით იმკვეთა, რომ შარშან რესპუბლიკაში გაშენდა 1660 ჰექტარი ვენახი საგეგმო 2500 ჰექტარის ნაცვლად. საგულისხმოა, ისიც, რომ შეიქმნა მთელი რიგი წინააღმდეგობანი. კერძოდ, კახეთის ზოგიერთ რაიონში უგულებელყოფენ საფერავის, კაბერნეს და ხიხვის ჯიშების გაშენებას. ისევ და ისევ რქაწითელს ეძალებიან, რადგან იგი უხვმოსავლიანია და მოსავლელად შედარებით ადვილია, მაგრამ იმას კი აღარ ანგარიშობენ, რომ, თუ ტონა „რქაწითელი“ (რა თქმა უნდა, კონდიციური) 540 მანეთი ღირს, იგივე რაოდენობის სხვა ჯიშის ყურძენში გადამმუშავებელი წარმოება მეზვრეს ათას, ათას სამას მანეთამდე უხდის.

როცა ამ მიმოხილვისათვის მასალებს ვაგროვებდით, ყურადღება მივაქციეთ ერთ დეკემბას. 14 დეკემბერს კახეთის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე ტრისტან ხუციშვილი რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტს ატყობინებდა — ნერგის უქონლობის გამო ვენახებს ვერ ვაშენებთო... ამ დეკემბის გამო აგროსამრეწველო კომიტეტიდან კახეთში მეორე დღესვე გაუგზავნიათ მევენახეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი ზურაბ ბაკურაძე... მან განმარტა, რომ კახეთელებს ვაზის ნერგი მცხეთის სანერგე მეურნეობიდან უნდა მიეღოთ, მაგრამ 14 დეკემბრისათვის მათ ნერგი ჯერაც არ ჰქონდათ ამოღებული. მეურნეობის დირექტორმა ნოროზ ბაბაევმა თავი საწვავის უქონლობით გაიმართლაო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ნერგის ამოღება ხომ 15 ნოემბრიდან მაინც იწყება? ნუთუ დეკემბის გამოგზავნამდე მეურნეობას იმდენი საწვავი არ ჰქონდა, რომ საქმე საგანგებოდ არ გამხდარიყო. და კახეთი ვენახები თავის დროზე გაეშენებინათ? ან თვითონ ტრისტან ხუციშვილი რას უცდიდა, საქმე უუამდე რატომ მიიყვანა, ვაზის დარგვის ვადები ხომ კარგად მოეხსენება? ასე გვგონია, დეკემბის თავის დაზღვევის პოზიცია უფრო აქვს, ვიდრე დარდისა და წუხილისა იმის გამო, რომ კახეთში 1988 წლისთვის დაგეგმილი ვენახი ვერ გაშენდებოდა. ამას იმიტომაც ვამბობთ, რომ ამ ბოლო წლებში კახეთის რაიონში არ სრულდება ვენახების გაშენების გეგმები და მათ თავის გამართლების მიზეზები არ ელევათ: ხან ნერგი არა აქვთ, ხან მისი ხარისხი არ მოსწონთ და ა. შ.

„თურაშაულის მჭამელი ტყეში მაჟალოს ეძებდაო“, — ისე დაემართათ კახელებს. ერთ დროს ქსნის და ოკამის საბჭოთა მეურნეობები შამპანური ვაზის ჯიშის ნერგებით შიდა ქართლის რაიონებს ამარაგებდნენ, მაგრამ დღეისათვის აქ დანგრევამდეა მისული ელექტროსტრატიფიცირებული სასათბურე მეურნეობა, რომლის ასაშენებლად თავის დროზე, ალბათ, საკმაოდ დიდი თანხა დახარჯა.

ანალოგიურ მდგომარეობას სხვა რაიონებშიც ვხედებით: ახმეტის მევენახეობის სანერგე მეურნეობა რესპუბლიკაში ვაზის ნერგის წარმოების ფლაგმანად ითვლებოდა. სამწუხაროდ, ახლა კი სარგავი მასალის წარმოება მინიმუმამდე შემცირდა და ახმეტელებს საქმე სხვის სახვეწად გაუხდათ.

სასათბურე მეურნეობები სიღნაღის, საგარეჯოს, თერჯოლის, სამტრედიის, ამბროლაურის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებშიც გაუქმებულა, რამაც მეტად სავალალო მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ამის შედეგიც არის, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საგრძნობლად შემცირდა ფილოქსერა გამძლე სადედე ვაზის ფართობები და რაც გადარჩა მათს აღდგენასა და მოვლა-პატრონობას ჯეროვანი უყურადღება აღარ ექცევა. პირიქით, ვაზის ამოძირკვა ისევ გრძელდება.

საგარეჯოს რაიონის იორმუღანლოს უოფილ სანერგე საბჭოთა მეურნეობაში სადედე ვაზი 32 ჰექტარზე ჰქონიათ გაშენებული და ნაადრევად უნებართვოდ ამოუძირკვავთ. ახლა კი რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომიტეტში საკითხს აყენებენ, გინდათ თუ არა, სადედე ვაზის ფართობი ჩამოგვაწერეთო. საინტერესოა, როგორ მოიქცევა აგრომრეწვი?

სადედე ვაზი ამოუძირკვავთ აგრეთვე სიღნაღის რაიონის ტიბაანისა და წნორის უოფილ სანერგე მეურნეობებში, მარნეულის რაიონის შაუმიანისა და ხრამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში, ჩოხატაურის, სამტრედიის, მცხეთისა და სხვა რაიონებში. საინტერესოა, ჰქონდათ კი მათ ამის ნებართვა, ხოლო თუ ჰქონდათ — ვისგან?

და ამის შედეგიც არის, რომ ახლა იძულებული ვართ ფილოქსერაგამძლე საძირეები საქართველოში, — საუკუნეებგამოვლილი საგალობელის, — „შენ ხარ ვენახის“ სამშობლოში, სხვა რესპუბლიკებიდან შემოვიტანოთ. საძირეები კი არადა, ვაზის ნერგიც შემოგვაქვს და ამით ნელ-ნელა ვაღარიბებთ ჩვენი რესპუბლიკისა და საზოგადოებრივი მეურნეობების ეკონომიკას.

ნუთუ უფრო ხელსაყრელი არ იყო ის, რომ მეურნეობებს თავიანთი სანერგეები ჰქონდათ, საკუთარ მეურნეობასაც უზრუნველყოფდნენ, მოსახლეობასაც და ზოგჯერ სხვა მეურნეობებსაც ეჰყიდდნენ ხოლმე, რითაც საკმაო შემოსავალიც ჰქონდათ?..

ასე და ამგვარად (თუმცა ყველაფერი არ თქმულა), გაიცალა 1988 წელი რესპუბლიკის მევენახეებმა და მეღვინეებმა... თუ ზემოაღნიშნული ფაქტებით ვიმსჯელებთ, საგანგაშოა, რომ ადამიანს ანდეს მოწა, ეს ღვთაებრივი სიყვარე. პროდუქციის წარმოებისათვის იხარჯება დიდძალი ფული, მაგრამ დაბანდებული ყოველი მანეთიდან კი სათანადო უკუგებას ვერ ვღებულობთ. მერედა, ისიც, სად, მცირემოწიან რესპუბლიკაში, როცა აქ ყოველი გოჯი მიწისა ნაყოფიერი უნდა იყოს! მით უმეტეს დღეს, გარდაქმნის პროცესში, როცა ლაპარაკია იმაზე, რომ პროდუქციის წარმოების მოცულობა უნდა გავზარდოთ ინტენსიური ტექნოლოგიით (ჩვენ კი სახელმწიფო შეკვეთასაც ვერ ვასრულებთ). თანამედროვე ტექნიკისა და პროგრესული მეთოდების დანერგვას ვინღა ჩივის, თავის დროზე არ ვასრულებთ მიმდინარე სამუშაოებს, სათანადო ყურადღებას არ ვუთმობთ მეჩხერიანობის აღმოფხვრას, ამიტომ რესპუბლიკის მსხმოიარე ვენახებში მეჩხერიანობა საშუალოდ ჯერ კიდევ 13,3 პროცენტია, ახალშენში კი 2,2 პროცენტი. ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში კი ეს „მაჩვენებელი“ უფრო მაღალია.

ბუნებრივია, ამ და აღნიშნული სხვა ფაქტების გამო გზა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებებისაკენ მიდის და, რაღა თქმა უნდა, მათზე საქმაოს ვერაფერს ვიტყვით. რესპუბლიკის მევენახეებს შარშან ისინი მაინცდამაინც ვერ დაეხმარნენ, თუმცა მათ საკმაოდ ჰყავთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, აქვთ სათანადო ტექნიკა და წარმოების სხვა საშუალებანი. ასე რომ, საქმეს ისევ და ისევ უძრაობისა და სხვისი მოიმედობის ელფერი დაჰკრავს. უძრაობამ კი გასულ წლებში ხომ საკმაოდ გვაზარალა და, როგორც ხედავთ, ხეირს არც ახლა გვაყრის. რა ვუყოთ, რით ავანაზღაუროთ მევენახეობიდან დაკარგული მილიონები (აღნიშნულზე გაცილებით მეტია) რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების კეთილდღეობას უნდა მოხმარებოდა:

თავის დროზე ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით იმაზე, რომ აგროსამრეწველო გაერთიანებების სახით მიწას პატრონი გაუჩნდა, რომ მათი მეცადინეობით გაიზრდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, გაუმჯობესდებოდა ხარისხი და, საერთოდ, სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზით წავიდოდა, მაგრამ რა შეგვრჩა ხელთ? ძვირი ბაზარი და მაღაზიათა ცარიელი დახლები. ასე გვგონია, გაკოთინანებების არსებობამ ერთგვარად ფორმალური ხასიათი მიიღო და მათ იმედი ვერ გაამართლეს, ანდა, არ ვაცალეთ მათ მიწის პატრონობა, სხვის გაგლენის ქვეშ მოვაქციეთ და არ მივეცით სრული თავისუფლება. ვფიქრობთ, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. არადა, იგივე მარნეულის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების შენახვა სახელმწიფოს ყოველწლიურად (წლეულს ინვრამდე) 135 ათასი მანეთი უჯდებოდა, კასპისა კი 129 ათასი მანეთი.

გვჯერა, აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაკებს დიდი სურვილი აქვთ, რომ მათი წვლილი მკვეთრად ჩანდეს სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, მაგრამ, საქმე რატომღაც ვერ აეწყო. ალბათ თავს იმითაც მოიწონებდნენ (და არა მარტო გაერთიანებების მუშაკები), რომ საერთაშორისო ბაზარზე ქართულმა ღვინოებმა რაოდენობითა და ხარისხით კონკურენცია გაუწიონ ნებისმიერი სახელმწიფოს ღვინოებს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ამისათვის მარტო სურვილი არ კმარა.

დასასრულ იმის თქმა გვინდა, რომ რესპუბლიკაში ვენახების მდგომარეობა დღეს ოდინ არცთუ ისე სახარბიელოა. ბევრ რაიონში შეუწყნარებლად დაკვეთილა ამ ტრადიციული დარგის განვითარების დონე. ხშირია ვენახების დაკნინებისა და მწყობრიდან ნაადრევად გამოსვლის ფაქტები, რაც ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის დისციპლინის განმტკიცებას. სუსტია თითოეული მუშის, გლეხის, ბრიგადირისა და სპეციალისტის პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი. ამასთანავე სათანადო ყურადღება არ ეთმობა შრომის პროგრესული მეთოდების იმგვარად დანერგვას, როგორც ამას დღევანდელობა და გარდაქმნა მოითხოვს. რა თქმა უნდა, საქმეს სასიკეთოდ წაადგება ისიც, თუ ყურძნის სახელმწიფო შესყიდვის ფასებსაც გადავხედავთ...

ერთი სიტყვით, მევენახეობის რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, განსაკუთრებით კი აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, დღენადაგ, გაერთიანებული ძალით უნდა იზრუნონ საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი აღორძინებისა და განვითარებისათვის. თანაც ეს საქმე ძალზე საშურია და გადადებას ვერ მოითმენს. თქვენ რას იტყოდით?

როლანდ ბასილაშვილი.



აკაკი ღვალაძე, რომელმაც საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში იჯარით აიღო 32 ჰექტარი ზვარი, მისი ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდა. და თუმცა მას უკვე ამორტიზებული, გამეჩხერებული ნაკვეთები მისცეს, სადაც მხოლოდ ცხრა ჰექტარზეა ახალგაზრდა ნარგავები, მან თავის ძმასთან ომართან და ომარ მეკოკიშვილთან ერთად გადაწყვიტა აღადგინოს მიტოვებული ვენახები, მუშაობს ძალ-ღონის დაუზოგავად.

პირველსავე წელს მოიჯარეებმა არათუ ჩაბარეს ხელშეკრულებით დათქმული ყურძნის რაოდენობა, არამედ საბჭოთა მეურნეობას ასი ათასი მანეთი მოგება მისცეს.

სურათებზე: 1. მევენახეთა საიჯარო ბრიგადის ხელმძღვანელი აკაკი ღვალაძე; ტრაქტორისტ მერაბ ხუციულურს დავალებული აქვს იჯარით აღებულ ზვარში შეასრულოს ზამთრის სამუშაოთა კომპლექსი; საზამთრო ზვარში; მოიჯარეები ომარ მეკოკიშვილი, ომარ ღვალაძე, საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი ფარნაოზ კავთუაშვილი და აკაკი ღვალაძე.

საქინფორმის ფოტო.

არ არის პოლიტიკა ეკონომიკის გარეშე

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური რეფორმებისა და პოლიტიკური სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულების, გარდაქმნის განვითარების გზების შესახებ გულახდილი, ნდობით აღსავსე სჯა-ბაასი იყო საქართველოს მეცნიერთა და ინჟინერთა საზოგადოებების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თბილისში გამართულ გაფართოებულ სხდომაზე. მასში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატი სსრ კავშირის მეცნიერთა და ინჟინერთა საზოგადოებების კავშირის გამგეობის „ვოპროსი ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი გაბრიელ ხარიტონის ძე პოპოვი.

სხდომა გახსნა საქართველოს მეცნიერთა და ინჟინერთა საზოგადოებების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა გ. ვ. მინდელმა. მან სიტყვა მისცა სახალხო დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემიის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ს. ნ. კრასავჩენკოს, რომელმაც შეკრებილთ გააცნო გ. პოპოვის ბიოგრაფია და მოკლედ დაახასიათა მისი მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობა.

შემდეგ გამოვიდა გ. ხ. პოპოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ახლანდელი საარჩევნო კამპანია გარდაქმნის ხელშეწყობის ძალების კონსოლიდაციის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. ზამთიდან დაწყებულმა, მან განელილი ოთხი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ ვერ პოვა სათანადო პრაქტიკული, მატერიალური მხარდაჭერა. მეცნიერის აზრით, ეს იმის ბრალია, რომ არ არის ბოლომდე შემოწმებული ეკონომიკური სიძნელეების დაძლევის რეალური პროგრამა. დღემდე მიღებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების უმრავლესობა ნაკლებეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან ნაკარნახევი იყო, ძირითადად, ქვეყანაში საზოგადოებრივი გარდაქმნისადმი აპარატულ-ბიუროკრატიული მიდგომით.

ამჟამად სიტუაცია იცვლება. სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება ქვემოდან, ხალხის ფართო მასებში გარდაქმნის განწყობილება, ვითარდება სოფლად საფერმერო მეურნეობრიობა, საწარმოებს არეწდნი იღებენ შრომითი კოლექტივები, კოოპერატივები სახელმწიფოსაგან ყიდულობენ ზარალიან საწარმოებს, იქმნება საკაციო საზოგადოებანი. მიმდინარეობს სამეურნეო ცხოვრების ისეთი ფორმების აქტიური ძიება, რომელთა დროსაც ხალხს აღარ დასჭირდება მბრძანებელურ-ადმინისტრაციული სისტემა.

იმისათვის, რომ დასახული გარდაქმნები რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში განხორციელდეს, გ. ხ. პოპოვის აზრით, მთელი მეცადინეობა უნდა მოხმარდეს სამ მთავარ მიმართულებას. ჯერ ერთი, საკირაოა, რომ სახელმწიფო საკუთრებამ ბოლოს და ბოლოს ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიძინოს, სწორედ შრომითი კოლექტივი უნდა ფლობდეს წარმოების საშუალებებს. მეორე, უნდა განვახორციელოთ სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელი მსხვილი საწარმოების დემონოპოლიზაცია და დავამთავროთ სოფლის მეურნეობაში საწარმოო ურთიერთობის გარდატეხა, და მესამე, ჩამოვაყალიბოთ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ეკონომიკის თანამედროვე დარგები.

მაგრამ ეკონომიკური რეფორმები შეუძლებელია პოლიტიკური გარდაქმნების გარეშე, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. მისი აზრი ის არის, რომ ახლანდელი სამეურნეო აპარატის მსხვრევის მეშვეობით პოლიტიკური პირობები შეექმნას რეალური ეკონომიკის განვითარებას. საზოგადოების დემოკრატიზაცია, ქვეყნის მმართველობაში ხალხის რჩეულთა აქტიური ჩაბმა ყველა ამ ცვლილების განხორციელების რეალურ წანამძღვრებს ქმნის.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება მოიწონონ ჟურნალ „ვოპროსი ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორის გ. ხ. პოპოვის წინასაარჩევნო პლატფორმა და მხარი დაუჭიროონ მის კანდიდატურას.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში

ვ. ი. ტერეგილოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის ბ. ი. ტრუბნიკოვის მოხსენების გამო პლენუმმა განიხილა საკითხი სასამართლო პრაქტიკაში სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საქმალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის გამოყენების გამო, რომლის თანახმად მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს უფლება აქვთ მოითხოვონ სასამართლოში ისეთი ცნობების უარყოფა, ჩირქს რომ სცხებენ მათს სახელსა და ღირსებას.

სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით პლენუმმა განმარტა, რომ მოქალაქის ან ორგანიზაციის სახელგამტეხი ცნობების გავრცელებად იგულისხმება არა მარტო მათი გამოქვეყნება პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში, არამედ აგრეთვე მათი ჩაწერა სამსახურებრივ დახასიათებებში, აღნიშნვა საჯარო გამოსვლებში, თანამდებობის პირებისადმი წარდგენილ განცხადებებში, ანდა შეტყობინება სხვაგვარი, მათ შორის, სიტყვიერი ფორმით პირთა გაურკვეველი წრის ან თუნდაც ერთი პირისათვის.

სახელგამტეხია ისეთი ცნობები, რომლებიც შეურაცხყოფენ მოქალაქის ან ორგანიზაციის სახელსა და ღირსებას საზოგადოებრივ აზრსა ან ცალკეულ მოქალაქეთა აზრში კანონების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისა და კომუნისტური მორალის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, მათ რიცხვს განეკუთვნება სინამდვილისათვის შეუფერებელი ცნობები უპატიოსნო საქციელის ჩადენის, შრომითს კოლექტივში, ოჯახში და ა. შ. უღირსი ქცევის შესახებ. ამავე დროს, არ შეიძლება საფუძვლიანად იქნეს მიჩნეული მოთხოვნები ისეთი ცნობების უარყოფის შესახებ, რომლებიც შეიცავენ მართებულ კრიტიკას მუშაობის ხარვეზებების, საზოგადოებრივ ადგილას, კოლექტივში, ყოფაში ქცევის გამო.

დაინტერესებულ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა

1986 წლის 26 აპრილი ავბედით თარიღად შევიდა კაცობრიობის ისტორიაში. იმ დღეებში, როდესაც მთელი მსოფლიო შეშფოთებითა და გულისტკივილით ადევნებდა თვალს მოვლენათა მსვლელობას ჩერნობილში, სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა რა შექმნილი მდგომარეობა, ატომური ელექტროსადგურების ავტომატიზაციის პრობლემის უდიდესი აქტუალობა და სირთულე, გადაწყვიტა შემოეღო სსრ კავშირის გენერალური კონსტრუქტორის თანამდებობა, რომელსაც დაევალებოდა ჩვენი ქვეყნისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ნევრ ქვეყნებში ატომური ელექტროსადგურებისა და ტრენაჟორული მოწყობილობების კომპლექსური ავტომატიზაციის პერსპექტიული სისტემების შექმნის ხელმძღვანელობა, 100-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სხვადასხვა საკავშირო სამინისტროსა და უწყების 10 საკონსტრუქტორო ბიუროს საქმიანობის კოორდინაცია.

სსრ კავშირის გენერალური კონსტრუქტორი აღჭურვილია უმაღლესი სამეცნიერო-ტექნიკური, ადმინისტრაციული და ფინანსური უფლებამოსილებით. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა იმ ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის, რომლებიც ქმნიან ავტომატიზებულ სისტემებს, ატომურ ელექტროსადგურებსა და ტრენაჟერებს (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა).

ცხადია, ამ თანამდებობაზე ისეთი პიროვნება უნდა შეერჩიათ, რომელიც თავისი სამეცნიერო პოტენციალით, ადმინისტრაციული ნიჭით მოახერხებდა, რომ ახლა, ამ ექსტრემალურ სიტუაციაში და შემდგომაც ხელთ ჰყრობოდა სიტუაცია, მისი მართვის სადავეები და არ დაეშვა მსგავსი, არაპროგნოზირებადი მოვლენები.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტროს ერთობლივი წინადადებით ეს პასუხსაგები პოსტი ჩააბარეს ჩვენს თანამემამულეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მის ვიცე-პრეზიდენტს ივერი ვარლამის ძე ფრანგიშვილს.

მიხეილ ხოშტარია — ბატონო ივერ, მოგეხსენებათ, რა რთულ პირობებში ცხოვრობს ახლა კაცობრიობა. დედამიწას, კაცობრიობას ემუქრება მინისძვრა და ქარიშხალი, მაგრამ უფრორე — ადამიანის უგუნურება და უპასუხისმგებლობა. სტიქიური უბედურებები ჩინეთში, მექსიკაში, იუგოსლავიაში, ფილიპინებზე, იაპონიაში... ჩერნობილი, ავღანეთი, „ადმირალი ნახიმოვი", ტრაგედია რკინიგზაზე, ტრაგედია ჰაერში და... სულ უკანასკნელი უდიდესი ტკივილი — მიწისძვრა სომხეთში...

როგორც ვიცი, 7 დეკემბერს თქვენ მივლინებული იყავით კუბაში. ჩვენი ქვეყნის ლიდერი მიხეილ გორბაჩოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე გამოსვლისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მოლაპარაკების შემდეგ სწორედ კუბაში აპირებდა ჩასვლას. ხომ არ იყო დაკავშირებული თქვენი მივლინება ამხანაგ გორბაჩოვის ვიზიტთან?

ივერი ფრანგიშვილი — დიახ, იყო. ალბათ იცით (საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის ორგანოები იუწყებოდნენ ამის შესახებ), რომ კუბაში, სოფელ ხურაგუასთან, საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შენდება ატომური ელექტროსადგური, რომელიც 1992 წელს უნდა შევიდეს ექსპლოატაციაში. ჩვენი ქვეყნიდან კუბაზე გავემგზავრეთ ექსპერტთა ჯგუფი, რათა ადგილზე გვენახა, როგორ მიმდინარეობს მშენებლობა, რა დონეზეა მართვის ავტომატიზებული სისტემა, არის თუ არა უზრუნველყოფილი სადგურის უსაფრთხოება და სხვა. შემდეგ ჩვენი მოსაზრებები უნდა მოგვეხსენებინა ამხანაგ გორბაჩოვისათვის, ვინაიდან ხურაგუას ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხი მ. გორბაჩოვისა და ფ. კასტროს მოლაპარაკების დღის წესრიგში იყო.

მ. ხ. — გაიგო თუ არა სომხეთში დატრიალებული უბედურების ამბავი, მ. ს. გორბაჩოვმა შეწყვიტა ვიზიტი ამერიკაში და სამშობლოში გამოემგზავრა. თქვენც სასწრაფოდ დაბრუნდით საბჭოთა კავშირში. ხომ არ გამოიწვია ეს ერევნის ატომურ ელექტროსადგურში ვითარების გამწვავებამ? თქვენ იცით, რომ ამ სადგურის უსაფრთხობით დაინტერესებულია არა მარტო სომეხი, არამედ მთელი ამერკავკასიის ხალხები. მით უმეტეს, რომ თვალწინ გვაქვს ჩერნობილის მაგალითი... რას გვეტყვით თქვენ, გენერალური კონსტრუქტორი, ნამდვილად იყო, არის თუ იქნება რეალური საშიშროება? რა ღონისძიებებს ატარებთ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?

ი. ფ. — ჩამოსვლისთანავე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. რიჟკოვმა მიგვიწვია ჩვენ და ატომური ენერგეტიკის საუწყებათაშორისო საბჭოს სხვა წევრები და მოგვცა დავალება — სასწრაფოდ შეგვესწავლა ერევნის აეს-ის მდგომარეობა, წერილობით გამოგვეთქვა ჩვენი აზრი. მისი უსაფრთხოებისა და, აქედან გამომდინარე, მუშაობის გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე.

საბჭოს წევრებმა საფუძვლიანად გააანალიზეს არსებული ვითარება და, უსაფრთხოების 100 პროცენტიანი გარანტიისათვის, მიიღეს გადაწყვეტილება სადგურის გაჩერების შესახებ. ნელს დაიწყო სადგურის ენერგობლოკების გაჩერება.

ახლა რაც შეეხება არსებულ ვითარებას. როგორც იცით, ატომური ელექტროსადგურის მიდამოებში 7 დეკემბერს მიწისძვრის ძალა 5-6 ბალს არ აღემატებოდა, მისი საპროექტო უსაფრთხოების ზღვარი კი 7 ბალზეა გათვლილი. ასე რომ, ამ შემთხვევაში სადგურში ავარიული სიტუაცია არ შექმნილა. ერთი კი უნდა ითქვას: მართალია, ეს სადგური 7 ბალიან სეისმურ ზონაშია აგებული, მაგრამ მიწისძვრამ დაგვანახა, რომ სტიქია ზოგჯერ ანგარიშს არ უწევს ჩვენს პროგნოზს... ეს კი გვაიძულებს მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა გამოვიჩინოთ.

ამრიგად, ახლა საფიქრალი იმდენად ჩვენი უსაფრთხოება კი არა, ელექტროენერგიის დეფიციტი უფროა. ჩვენ ხომ გარკვეულწილად ერევნის აეს-იდანაც ვსაზრდოობდით. ყველა ზომას უნდა მივმართოთ, რომ ჩვენმა ხალხმა არ იგრძნოს ან ნაკლებად იგრძნოს ეს დეფიციტი.

ბიოგრაფიიდან: ივერ ფრანგიშვილი 1930 წელს დაიბადა დიდ ჯიბაიშში, სოფელში, სადაც მრავალად დარწეულა ჩვენი სახიქადულო მამულიშვილების აკვნები. მამა ვარლამ ფრანგიშვილი სამთო ინჟინერი იყო, დედა — ნადეჟდა ლეონავა — პედაგოგი.

ივერი ფრანგიშვილმა წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა №-12 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე. გამორჩეული ნიჭიერებისა და სიხეჯრითისათვის აქ სახელობითი სტიპენდია დაუნიშნეს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და პრესტიჟულ სამეცნიერო ცენტრში — მართვის პრობლემების ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა. აქ გაიარა გზა უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან ინსტიტუტის დირექტორამდე.

30 წელია იგი ამ სამეცნიერო ცენტრში მოღვაწეობს.

მ. ხ. — თქვენი ხელმძღვანელობითა და შემწეობით ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი და მაღალპროფესიულ სპეციალისტებად და ნამდვილ მოქალაქეებად დაუბრუნდა საქართველოს. რას იტყოდით თქვენს დღევანდელ ქართველ შეგირდებზე?

ი. ფ. — ამჟამად ჩვენთან, მართვის პრობლემების ინსტიტუტში, 15 ქართველი ასპირანტია და კიდევ ერთი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, დოქტორანტურაშია. დიდი ხალისით მივიღებთ, ხელს შეეწყობთ და დავეხმარებით ყველას, ვისაც ჩვენთან სწავლა სურს, განსაკუთრებით — დოქტორანტურაში (ჩვენს რესპუბლიკაში, მოგეხსენებათ ძალზე იკლო ახალგაზრდა დოქტორთა რიცხვმა). რაც შეეხება კანდიდატებს, ხსენებული 15 ასპირანტიდან 4 წელსვე დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას.

ცხადია, ყველა ერთნაირად ნიჭიერი და შრომისუნარიანი არ არის, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქართველ ასპირანტთა და სტაჟიორთა უმრავლესობა გამოირჩევა ხალასი ნიჭით, სიბეჯითით, მეცნიერული ალღოთი და ინტუიციით, სიახლისა და შეუცნობადისაკენ სწრაფვით. ამიტომ ჩვენს ინსტიტუტში კარგი თვალით უყურებენ ქართველებს. იქ აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა, უკვე დოქტორი და აკადემიკოსი, თავად გახდა სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელი. ასეთები არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი მინდია სალუქვაძე, გამოყენებითი ავტომატიზებული სისტემების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი ლერი გიგინეიშვილი, გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის საქართველოს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ვანო გორგიძე, გენერალური დირექტორის მოადგილე ვლადიმერ ჩაჩანიძე, სწავლული მდივანი გურამ ასათიანი, განყოფილების გამგე თეიმურაზ დავიდოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროპროცესორული სისტემების კათედრის გამგე დიმიტრი ცისკარიძე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრის განყოფილების გამგე ვლადიმერ მელია და მრავალი სხვა.

„ბატონი ივერის უყრადღება და თანადგომა არც ახლა გვაკლია. მას ფახდაუდებელი ღვაწლი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროპროცესორული სისტემების კათედრის აღჭურვაში, მისთვის სამეცნიერო მიმართულებისა და, საერთოდ, სახის მიცემაში".

დ. ცისკარიძე — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

წინსვლა გვჭირდება, როგორც არასდროს

ვიცე-პრეზიდენტი

ივერი ფრანგიშვილი

მ. ხ. — თქვენ, ალბათ, გაეცანით ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტს და იცით, რა პერსპექტივები აქვს მის განვითარებას. ამავე დროს გვაქვს მრავალი პრობლემა — გვაკლია ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, განსაკუთრებით — ტექნიკური მეცნიერების დარგებში. დასახვეწია ტექნიკური ტერმინოლოგია. გამონაკლისს არც ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკა შეადგენს...

ი. ფ. — დიახ, ეს სერიოზული პრობლემაა. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი ძირითადად ითვალისწინებს მის გადაწყვეტას, მაგრამ ჩვენ მეტი მეცადინეობა გვმართებს, რომ თავი მოვუყაროთ ყველა სპეციალისტს, დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, რათა დავაჩქაროთ ეს პროცესი.

მ. ხ. ხომ არ დადგა დრო, შეიქმნას ერთიანი ორგანო, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა იმ საქმეს?

ალბათ, კომპიუტერების „გაქართველება" იმიტომაც არის საჭირო, რომ ქართულ საშუალო სკოლებში ბევრი საგანი კომპიუტერების მეშვეობით უნდა შეისწავლონ.

ი. ფ. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და სამეცნიერო დაწესებულებების ინიციატივით, შეიქმნა კომისია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ეს კომისია, ამჟამად, კომპიუტერების გაქართულენოვნების ერთიან პროგრამას იმუშავებს.

ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ კომპიუტერი, რომელიც საქართველოში იმუშავებს, ქართულენოვანი უნდა იყოს. ამისათვის კი საჭიროა შეიქმნას ქართული ნოტაციის ერთიანი სტანდარტი და დამტკიცდეს იგი საერთაშორისო სტანდარტების კომისიაში. ამ მხრივ გვაქვს გარკვეული პროგრესი. ჩვენ უკვე შევედით წინადადებით სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტში, რათა ჩვენს ქვეყანაში გამოსული მაწქანების კლავიატურაზე გამოიყოს ადგილი ქართული ასონიშნისათვის.

ამის გარდა, ჩვენ ვამუშავებთ პროგრამის პროექტს, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის გაქართველოვნების, ქართულ ენაზე მონაცემთა და ცოდნის ბაზების შექმნის საკითხებს ეხება. ამავე პროექტში ყურადღება დაეთმობა ზემოთ ხსენებული ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ტერმინოლოგიის დაზუსტებასა და დადგენას. დადგენილია კონკრეტული ორგანიზაციები, რომლებიც ამ პროგრამის უზრუნველყოფაზე იმუშავებენ და ვადები. ჩემის ღრმა რწმენით, ეს პრობლემა, ძირითადად, წელს უნდა გადაწყდეს.

მ. ხ. — ახლა სერიოზული სჯა-ბაასია გამართული ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის შესახებ. როგორ გესახებათ დამოუკიდებლობა მეცნიერებაში?

ი. ფ. — თუ გვინდა, რომ რესპუბლიკა არ ჩამორჩებოდეს საერთო საკავშირო დონეს, პირველად იმ პრობლემებს უნდა მივხედოთ, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის.

მაღალ დონეს რომ მივაღწიოთ, უნდა შევქმნათ ღია საზოგადოება. შესაძლებელი უნდა გახდეს თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, ცხადია, მეცნიერებისა და სპეციალისტების გაცვლა-გამოცვლაც. ამის გარდა, აუცილებლად უნდა გავიდეთ საერთაშორისო ტექნოლოგიებზე, უნდა შევიმუშაოთ ერთობლივი ტექნოლოგიები. ეს კი შეუძლებელია ერთობლივი ბაზრებისა და კონვერტირებული მანეთის გარეშე. სხვათა შორის, უკვე დაიწყო მუშაობა ჩვენში კონვერტირებული მანეთისათვის საფუძვლების ჩასაყრელად.

ბიოგრაფიიდან: აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა სამ ძირითად ეტაპად იყოფა. ჯერ იყო და, მან ჩამოაყალიბა და დაამუშავა პროგრამულად მართული ტელეავტომატიზებული სისტემების აგების თეორიული საფუძვლები და ინფორმული მეთოდები სამრეწველო და სპეციალური ობიექტების ავტომატიზაციისათვის. იგი ამ მიმართულების პიონერად და სამეცნიერო სკოლის შემქმნელად არის აღიარებული.

შემდეგ წამოაყენა პრინციპულად ახალი იდეა ადვილად გადასაწყობი მრავალპროცესორიანი ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების დასაპროექტებლად; დაამუშავა თეორიული საფუძვლები და ინფორმული მეთოდები „პს" სერიის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების შესაქმნელად.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირში ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების შემდგომი განვითარების სულ ხუთი მიმართულებაა აღიარებული. ესენია: „ეს ეგმ", „სმ ეგმ", „ელბრუსი", პერსონალურ მანქანათა სისტემა და უკვე ნახსენები „პს" სისტემის მანქანები.

დღეს პს—2000 და პს—3000 სერიის მანქანები უკვე აითვისა ჩვენმა მრეწველობამ და წარმატებით გამოიყენება აეროკოსმოსური სურათების, ბიდროკოსუტიკური და რადიოლოკაციური სიგნალების, ნავთობისა და გაზის საბადოების სეისმოდაზვერვის შედეგების დასამუშავებლად და სხვა. სხვათა შორის, ამ მანქანებმა შესაძლებლობა მოგვცეს უარი გვთქვა ამერიკული ფირმის „კონტროლ დეიტას" საკმაოდ ძვირადღირებული მანქანის „საიბერპს" შესყიდვაზე.

გარდა ამისა, პერსპექტიული ატომური ელექტროსადგურების, თბოსადგურებისა და მანქანათმშენებლური ობიექტების კომპლექსური ავტომატიზაციისათვის შეიქმნა პს-820, პს-1001, პს-2100 და პს-3100 უახლესი ტიპის ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანები.

და ბოლოს — მისი მოღვაწეობის მესამე ეტაპი, სამუშაოები მანქანათმშენებლობისა და ატომური ენერგეტიკის დარგში რთული ობიექტების ავტომატიზაციის მსხვილმასშტაბიანი სისტემების შესაქმნელად.

ყველაფერ ამასთან ერთად აკადემიკოსი ი. ფრანგიშვილი სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის მინისტრის ბრძანებით დანიშნულია სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" სამეცნიერო ხელმძღვანელად, სათავეში უდგას საქართველოში სამეცნიერო და პრაქტიკულ სამუშაოებს რობოტიზებული და მოქნილი ავტომატიზებული, ადვილად გადასაწყობი საწარმოო სისტემების შესაქმნელად.

უდავოდ დიდია მისი, როგორც მეცნიერის, საერთაშორისო ავტორიტეტი. იგი არჩეულია IFAC-ის საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელად გამოთვლითი ტექნიკისა და კომპონენტების დარგში. ამის გარდა არის მრავალი სამეცნიერო და სპეციალური უურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

მ. ხ. — ბატონო ივერ, საბჭოური კომპიუტერის საიმედოობის პრობლემა მისი შექმნის პირველი დღიდანვე დგას, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს იგი მაინცდამაინც არავის აწუხებს. აბა რას დავაბრალოთ, რომ უკანასკნელ წლებში გამოშვებული ასე თუ ისე თანამედროვე სამამულო კომპიუტერები „ისკრა-1030", „ეს-1840" „ნეირონი" და სხვები უფრო ხშირად არ მუშაობენ, ვიდრე მუშაობენ და საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანს?

ან რას უნდა მივაწეროთ ის, რომ მსოფლიოში კონკურენტი ფირმებიც კი სტანდარტიზაციისაკენ მიილტვიან, თითქოს ყველა კომპიუტერი თავსებადია, ხოლო ზემოხსენებული სამამულო კომპიუტერები, რომლებსაც ერთი წინამორბედი — IBMPC ჰყავთ, ერთმანეთთანაც კი შეუთავსებელნი არიან?

ი. ფ. — მთავარი მიზეზი უწყებრივი დაყოფაა. სამმა საკავშირო სამინისტრომ ვერ მოახერხა ერთიანი სტანდარტით მუშაობა. ყოველმა მათგანმა თავისთვის მოსახერხებელი კორექტივები შეიტანა მაკომპლექტებელ ელექტრონულ ნაწარმში და ამის სავალალო შედეგიც ხელთა გვაქვს. ახლა კიდევ დამატებითი სახსრები უნდა დაიხარჯოს, რომ ისინი ურთიერთთავსებადი გახდნენ.

რაც შეეხება საიმედოობას, მართალი ბრძანდებით, სამწუხაროდ, ჩვენი კომპიუტერები საიმედოობით არ გამოირჩევიან. არ გვივარგა ელემენტთა ბაზა. ჩვენი მიკროსქემები და მიკროპროცესორები ჩამორჩებიან უცხოურს. ასეთივე შემაშფოთებელი ვითარებაა სამამულო პერიფერიული მოწყობილობების წარმოებაშიც. ეს იმდენად სერიოზული პრობლემაა, რომ გაზეთის გვერდი არ ეყოფა ნაკლოვანებებისა და მათი აღმოფხვრის გზების აღნუსხვას. იგი მთელ სახალხო მეურნეობას მოიცავს. ტექნოლოგიური პროცესების გათანამედროვეობასთან ერთად უნდა ამაღლდეს შრომის კულტურა, პროფესიონალიზმი.

როგორც აღვნიშნეთ, ახლა ბევრი რამ კეთდება მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გამოყოფილია დიდი კაპიტალური დაბანდებები, ნაყიდია ლიცენზიები, იქმნება ერთობლივი საწარმოები...

ალბათ იცით, რომ კიევში და ვილნიუსში შეუდგნენ ლიცენზიით ნაყიდი მოქნილი და ხისტი (20 და 80 მეგაბაიტიანი) დისკების გამოშვებას. ეს ოპტიმიზმს ბადებს.

მ. ხ. — საზოგადოების კომპიუტერიზაციაზე რა აზრისა ხართ? როგორ წარმოგიდგენიათ მომავალში ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთობა?

ი. ფ. — საზოგადოების კომპიუტერიზაცია რომ აუცილებელია, ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. რაც შეეხება ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთობას მომავალში, აქ დიდი პერსპექტივებია. უახლოეს 10 წელიწადში, ალბათ, გაიზრდება ექსპერტული სისტემების როლი. ელექტრონული მრჩევლები შეუცვლელნი გახდებიან არა მარტო ყოველდღიურ საქმიანობაში, არამედ ექსტრემალურ სიტუაციაშიც. მოგეხსენებათ, როგორ იბნევა ადამიანი სწორედ ექსტრემალურ სიტუაციაში: აი, საჭიროა სწორი და დროული გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ საქმეში ნერვები და ემოციები ერევიან და... კომპიუტერი კი ჯერჯერობით თავისუფალია გრძნობებისაგან. ხომ გასაგებია, რა მნიშვნელოვანი როლი დაეკისრება მას, ვთქვათ, ატომური ელექტროსადგურის ავარიის დროს ან წინაავარიულ სიტუაციაში.

ახლა წარმოიდგინეთ ახალგაზრდა ექიმი, რომელსაც კონსილიუმის მოწვევა აღარ მოუწევს. კომპიუტერი დაეხმარება დიაგნოზის დასმაშიც, მკურნალობის დანიშვნაშიც, ანალიზების გაკეთებაშიც, დაკვირვებაშიც... ასევე დაეხმარება იგი გეოლოგს, კოსმონავტს, მკვლევარს, დიასახლისს...

ეს გახლავთ მაგისტრალური მიმართულება ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთობაში.

შტრიხები პოტრეტისათვის: იგი ნამდვილი ინტელიგენტია — სადა, საოცრად უბრალო ურთიერთობაში. ნიადაგ კეთილგანწყობილია ადამიანებისადმი, ეს კეთილგანწყობა სახეზეც აფენია...

მ. ხ. — ბატონო ივერ, თქვენთვის, საკუთრივ, თავისუფალი დრო თუ გრჩებათ?

ი. ფ. — დრო, ცხადია, ძალიან ცოტა მრჩება. იქით ინსტიტუტი, აქეთ აკადემია... მაგრამ ყველაზე მეტი დრო მაინც გენერალური კონსტრუქტორის მოვალეობის შესრულებას მიაქვს. ძალიან ბევრ ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან მიხდება ურთიერთობა.

მ. ხ. — ოჯახი თბილისში გყავთ...

ი. ფ. — ნანილობრივ, თბილისშია ჩემი ვაჟი — არჩილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი. თავისუფალ დროს როგორ ვიყენებ? — ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას, მუზეუმებში დავდივარ.

მ. ხ. — თქვენზე ამბობენ, მხატვრობა უყვარს და კარგად ვსმისო. თავადაც ხომ არ ხატავთ?

ი. ფ. — არა, ხატვით არ ვხატავ, მაგრამ ფერწერა ძალიან მიყვარს. ავანგარდისტები მაინტერესებს. თითქმის ყოველ კვირა დავდივარ ვერნისაჟებზე. ძალიან მიყვარს მუსიკა, განსაკუთრებით კლასიკური — ბახი, ბეთჰოვენი, შუბერტი... სახლში მუშაობისას ხშირად მუსიკა მაქვს ჩართული.

მ. ხ. — უკანასკნელი კითხვა: რას უსურვებთ ჩვენს ერს, თქვენს თანამემამულეებს?

ი. ფ. — ერს — ჰქონდეს ერთობა, გამრავლდეს და გაძლიერდეს. ჩემს თანამემამულეებს — სიბეჯითეს და მაღალ პროფესიონალიზმს, — უამთვისებებად ახლა წარმოუდგენელია რაიმე წარმატების მიღწევა. წინსვლა და წარმატება კი დღეს, ისე როგორც არასდროს, გვჭირდება.



მიხეილ ხოშტარია.

ეროვნული ინსტიტუტი

ერთადერთი სწორი და რეალისტური კურსი

მსოფლიოს საზოგადოებრიობა მიესალმება ვენის შეხვედრის შედეგებს

ჩეხოსლოვაკია

პრაღა. ევროპის 33 სახელმწიფოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის საგარო საქმეთა მინისტრების ვენის შეხვედრამ ცხადყო მშვიდობისა და სამხედრო დაძაბულობის შენელების პირობებში საერთო ევროპული სახლის მშენებლობის შესაძლებლობათა კონსტრუქციული ძიებისადმი მისწრაფება. ასეთია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის იარომინ იოპანესის აზრი, რომელიც მან გამოთქვა „რუდე პრავოში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში. ამ შეხვედრის ატმოსფეროთი აისახა ახალი პოლიტიკური აზროვნების სულისკვეთება, ყველა მონაწილემ დაადასტურა მსგავსი პოზიცია, რომ უნდა მოისპოს პოტენციალი, რომელიც იძლევა უეცარი თავდასხმის საშუალებას.

აშშ

ვაშინგტონი. შეიარაღებისადმი კონტროლის მომხრეთა ასოციაციამ — ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელიც ამ პრობლემის სპეციალისტებს აერთიანებს — აქ სპეციალური ბრიფინგი მოუწყო ჟურნალისტებს. ბრიფინგი მიეძღვნა იმ წინადადებათა შეფასებას, რომლებიც თავის გამოსვლაში ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ ევნაში გამართულ ევროპის 33 სახელმწიფოს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. ამ შეხვედრით გაიხსნა მოლაპარაკებანი ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და ნიობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებების შესახებ.

„საბჭოთა კავშირი, — თქვა ამერიკის კონგრესის კვლევითი სამსახურის წამყვანმა ექსპერტმა, შეერთებული შტატებისა და ნატოს ურთიერთობის პრობლემაზე მომუშავე სტენლი სლოუენმა, — არა მარტო ავლენს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირებისათვის მზადყოფნას, არამედ იმის სურვილსაც ამჟღავნებს, რომ მიაღწიოს ასეთ შემცირებას. მე ვფიქრობ, საბჭოთა კავშირის წინადადებები მოლაპარაკების ძალიან სერიოზულ დასაწყისად უნდა ჩავთვალოთ".

პორტუგალია

ლისაბონი. საბჭოთა კავშირი პრაქტიკული საქმეებითა და კონსტრუქციული ინიციატივებით მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ, ერთგულობს დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას, განაცხადა საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჟურნალ „დუ ფუნდაუს" მთავარმა რედაქტორმა ანტონიუ პაულოურუმ. ამას მოწმობს გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შემცირდეს ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების რიცხვი, და ვენაში წამოყენებული წინადადება, რომ შეიარაღება შემცირდეს იმ მინიმალურ დონემდე, რომელიც საჭიროა თავდაცვის მიზნებისათვის. ა. პაულოურუს თქმით, სსრ კავშირის პოლიტიკა ასახავს ახალ პოლიტიკურ აზროვნებას საერთაშორისო საქმეებში და საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნის ნაწილია. ეს არის კარგი მისაბაძი მაგალითი ყველა ქვეყნისათვის, ერთადერთი სწორი და რეალისტური კურსი, რომელიც განმტკიცებს უშიშროებას არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, გააფართოებს ყველა ხალხისა და სახელმწიფოს მშვიდობიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის ჰორიზონტებს.

ულამაზო ისტორიის მიზეზი

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალთა პროვოკაციული აქცია საბჭოთა სამხედრო დიპლომატის წინააღმდეგ

ვაშინგტონი. სსრ კავშირის საელჩომ ხუთშაბათს მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს საბჭოთა სამხედრო დიპლომატის ი. ნ. პახტუსოვის წინააღმდეგ პროვოკაციული აქციის გამო. სახელმწიფო დეპარტამენტმა იგი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა და განკარგულება გასცა გაეძევებინათ ქვეყნიდან „საქმიანობისათვის, რომელიც არ შეესაბამება დიპლომატიურ სტატუსს".

როგორც გამოძიების ფედერალური ბიუროს ეგენტებმა პახტუსოვი შეიპყრეს ოთხშაბათს გვიან საღამოს, როცა ძილის წინ იგი გამოვიდა ბინიდან ნაგვის გადასაყრელად. გამოვიდა საშინაო ჩუსტებით, სპორტული შარვლითა და მაისურით... დაგვეთანხმებით, რომ ასეთი სახით საღამოს შეხვედრაზე საიდუმლო დოკუმენტების მისაღებად ყინვაში არ გამოდიან. ოთხშაბათს კი ვაშინგტონში წლის ამ დროისათვის უჩვეულო ყინვა იყო და ამერიკის დედაქალაქისათვის შეიანთი თოვლი.

ამ თოვლსა და ყინვაში საშინაო ჩუსტებითა და მაისურით პახტუსოვი შეაგდეს შანქანაში და ძალით დაადეს ხელბორკილი. მას უფლება არ მისცეს დაბრუნებულიყო ბინაში ჩასაცმელად. უფლება არ მისცეს დაკავშირებოდა ცოლს, რომელიც შინ დარჩა მარტო ორ ბავშვთან ერთად და არ იცოდა რა დაემართა ერთი წამით გარეთ გასულ ქმარს. შესაძლებლობა არ მისცეს დოკუმენტებით დაედასტურებინა თავისი პიროვნება და შესაბამისად — დიპლომატიური ხელშეუხებლობა. და ბოლოს, საშუალება არ მისცეს დაკავშირებოდა საელჩოს. ამავე დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვლელსაც კი უფლება აქვს დაპატიმრებისას ერთხელ მაინც დარეკოს ტელეფონით...

მანქანაში, შემდეგ კი გამოძიების ფედერალური ბიუროს ვაშინგტონის სამმართველოში, სადაც იგი მიიყვანეს, წარუმატებლად შეეცადნენ დაეყოლიებინათ პახტუსოვი სამშობლოს ღალატზე, ჰპირდებოდნენ დიდ ფულს და თანაც აშინებდნენ. საბჭოთა სამხედრო დიპლომატი ფულს არ დახარბდა და არც სამშობლოს ულალატა. როცა დარწმუნდნენ თავიანთი ცდების ამაოებაში, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა რამდენიმე საათის შემდეგ — შუაღამისას — მას უფლება მისცეს დაერეკა საბჭოთა საელჩოში. ხუთშაბათს საელჩო ყველაფერში გულდასმით გაერკვა და სახელმწიფო დეპარტამენტის ინსინუაციის პასუხად განაცხადა, რომ პახტუსოვს არ ჩაუდენია არავითარი მოქმედება, რომელიც შეუთავსებელი იყო მის სტატუსთან.

ვის დასჭირდა ყოველივე ეს და ვინ დგას მის მიღმა? იმათგან, ვინც მტკიცედ იცის ამ კითხვების პასუხი, სამართლეს აშკარად ვერ გაიგებ. რჩება მხოლოდ იმის ვარაუდი, რომ, ალბათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველას არ აძლევს ხელს დიდი სახელმწიფოების ურთიერთობაში მობდარი დიდი ხნის ნანატრი დათბობა. როგორც ჩანს, ყველას არ მოსწონს არც ის, რომ ბოლო დროს სულ უფრო მეტი ამერიკელი სამპათიითია და დაუფარავი ინტ

ინტერვიუ

ენა — ჩვენი მეგზური

ჩვენს გაზეთში „პრავდიდან“ გადმობეჭდილ მ. ვსევოლოდოვას სტატიაში „ვისაუბროთ თანასწორ ენებზე“ („კომუნისტი“, 10 მარტი) ეროვნული ენების განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზეა საუბარი. ამასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ლევან ალექსიძე მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ უნივერსიტეტში ქართულს სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

— ჩვენი უნივერსიტეტი ხალხთა მეგობრობის, მოძმე ერების კულტურათა დაახლოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია საქართველოში

კარგახანია კავშირის მასშტაბით მიმდინარეობს ფილოლოგ სტუდენტთა გაცვლა, რომლის მიზანია მთარგმნელებისა და მომძე ხალხების ეროვნული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტების მომზადება. ეს კი შესაძლებელი გახდა 1976-77 სასწავლო წელს ჩვენთან სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის კათედრის დოცენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. ხვედელიძემ და სხვებმა.

ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა ქართულიდან რუსულ, ლატვიურ, ბელორუსულ, უკრაინულ, მოლდავურ და სხვა ენებზე თარგმნეს და დაბეჭდეს ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ნ. დუმბაძის და სხვათა რჩეული თხზულებები. ჩვენგან წარგზავნილებმა ნიჭიერად თარგმნეს და დასტამბეს ა. გოლოვკოს, ვ. სიმონენკოს, ი. დრაჩის, ო. გონჩარის და სხვათა ნაწარმოებები.

მ. ვსევოლოდოვა სტატიაში სამართლიანად აღნიშნავს: სხვა რესპუბლიკაში ჩასულ ადამიანს, სურვილიც რომ ჰქონდეს დაეუფლოს ძირითადი მოსახლეობის ენას, არ არის ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ენების სწავლებას, ნაკლებადაა სახელმძღვანელოები, თვითმასწავლებლები, შემუშავებული არაა ეროვნული ენების სწავლების მეთოდიკა.

ბუნებრივია, აქ საქართველოც იგულისხმება. საჭიროა ჩვენთანაც, უნივერსიტეტის შესაბამის კათედრებზე შემუშავდეს სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის ქართული ენის შესასწავლად სპეციალური მეთოდიკა, პროგრამები, შედგეს მცირე ზომის ლექსიკონები (სასკოლოც), ყოველ-ესტონეთის უნივერსიტეტებში. მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პირველწარგზავნილებმა — ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ბ. ჯორბენაძემ, უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ენის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა უ. სახლთუციშვილმა, უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის, ლიტერატურულ ურთიერთობათა და მხატვრული თარგმანის კათედრის დოცენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. ხვედელიძემ და სხვებმა.

ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა ქართულიდან რუსულ, ლატვიურ, ბელორუსულ, უკრაინულ, მოლდავურ და სხვა ენებზე თარგმნეს და დაბეჭდეს ვაჟა-ფშაველას, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ნ. დუმბაძის და სხვათა რჩეული თხზულებები. ჩვენგან წარგზავნილებმა ნიჭიერად თარგმნეს და დასტამბეს ა. გოლოვკოს, ვ. სიმონენკოს, ი. დრაჩის, ო. გონჩარის და სხვათა ნაწარმოებები.

მ. ვსევოლოდოვა სტატიაში სამართლიანად აღნიშნავს: სხვა რესპუბლიკაში ჩასულ ადამიანს, სურვილიც რომ ჰქონდეს დაეუფლოს ძირითადი მოსახლეობის ენას, არ არის ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ენების სწავლებას, ნაკლებადაა სახელმძღვანელოები, თვითმასწავლებლები, შემუშავებული არაა ეროვნული ენების სწავლების მეთოდიკა.

ბუნებრივია, აქ საქართველოც იგულისხმება. საჭიროა ჩვენთანაც, უნივერსიტეტის შესაბამის კათედრებზე შემუშავდეს სხვა ეროვნების წარმომადგენელთათვის ქართული ენის შესასწავლად სპეციალური მეთოდიკა, პროგრამები, შედგეს მცირე ზომის ლექსიკონები (სასკოლოც), ყოველ-დღიური სახმარი ლექსიკა, სასაუბროები.

დღეისათვის გვაქვს პროფესორების გ. ფიბახაშვილის „ქართული ენის თვითმასწავლებელი“, პროფესორ გ. გოლუთინის „რუსული ენის თვითმასწავლებელი“ და სხვა. რაკი ასეთი ლიტერატურის მოთხოვნა გაიზარდა, საჭიროა ისინი ხელახლა დიდი ტირაჟით გამოიცეს.

უნივერსიტეტში უცხოელ თუ მომძე რესპუბლიკიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის III-IV კლასების ქართული ენის სახელმძღვანელოებიც სჭირდებათ, რომლებიც ბიბლიოთეკაშიც ცოტაა. ასე რომ, ამ მხრივ ყველას დიდი მუშაობა გვმართებს.

მიმაჩნია, რომ უმაღლესი სასწავლებლის და, კერძოდ, უნივერსიტეტის რუსულ განყოფილებებზე ინტენსიურად უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ რესპუბლიკაში ენობრივი მშენებლობის, ეროვნული ლინგვისტური სკოლების ზედმეტი კარჩაკეტილობისა და „ურთიერთიზოლაციის“ დაძლევისათვის, რათა ენა ჩვენი კეთილი მეგზური გახდეს.

* * *

ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურულ დაახლოებაში, ენობრივი ბარიერების დაძლევაში, ხელშესახები წვლილი შეაქვს საქართველოს სსრ მწერალთა კავშირთან ამ თხუთმეტი წლის წინათ ჩამოყალიბებულ მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას.

მისი საქმიანობა იმთავიდანვე ზუსტად განისაზღვრა: შექმნილიყო ქართული ლიტერატურის მთარგმნელთა აქტივი, რომელიც ფართო პროპაგანდას გაუწევდა ჩვენს ეროვნულ მწერლობას, არა მარტო სსრ კავშირის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც.

ამისთვის კოლეგიის შექმნისთანავე ჩამოყალიბდა სტაჟირების ინსტიტუტიც, სადაც სისტემატურად იწვევენ რესპუბლიკების მწერალთა კავშირების მიერ რეკომენდირებულ ახალგაზრდა ლიტერატორებს ქართული ენის შესწავლა-გაორმაგებისა და მხატვრულ თარგმანებზე მუშაობისათვის. მათ დახმარებას უწევენ საგანგებოდ მოწვეული პედაგოგები, ცნობილი მეცნიერები, ჩამოსულთ სტაჟირების პერიოდში ენიშნებათ სტიპენდია, უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებლით, მარაგდებიან საჭირო ლიტერატურით, ლექსიკონებით.

მთარგმნელთა მოღვაწეობის უკეთ წარმართვისათვის, კოლეგიასთან არსებობს ქართველ მწერალთა ნაწარმოებების პწკარედული ბიბლიოთეკა. საქართველოს ისტორიის, ხალხის ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების უკეთ გაცნობას ხელს უწყობს აგრეთვე ლექციო-სემინარები. ფართოდ იყენებენ მთარგმნელთა მივლინებებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყოველწლიურად ბიჭვინთაში ეწყობა საკავშირო სემინარები, რომლებშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან მოწვეული სპეციალისტები. მოკლედ, მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას ამ მხრივ საკმაო ტრადიციები აქვს.

— რუსმა, ბელორუსმა, უკრაინელმა, ლიტველმა, ლატვიელმა, ესტონელმა და მოლდაველმა მთარგმნელებმა, რომლებმაც სტაჟირება სწორედ აქ გაიარეს, არაერთი ქართული ნაწარმოები თარგმნეს, — გვითხრა კოლეგიის თავჯდომარემ **ოთარ ნოდიამ**, — ახლახან ბელორუსიაში გამოიცა ქართული ანთოლოგიური ექსაკონის ორტომეული, ესტონურ ენაზე ითარგმნა ქართველ მწერალთა მრავალი ნაწარმოები, ნატარია სოკოლოგსკაიამ ლენინგრადში გამოსცა ქართული პოეზიის კრებული...

შრომატევადი სამუშაო შეასრულა იუტა პალმმ, რომელმაც ლიტვურ ენაზე ამზეცყველი „ვეფხისტყაოსანი“. ლუდმილა კოვალენკომ რუსულ ენაზე თარგმნა რევაზ ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილის, გიორგი შატბერაშვილის, ლევან სანკაიძის ნაწარმოებები. ნაყოფიერ შემოქმედებთან საქმიანობას ეწევიან ბელორუსები ვლადიმერ სივჩიკოვი და ნიკოლოზ რაზანაუ, რუსები ირინე მელნიკოვა, ტატიანა სალე